

ამინ ნაგელიანი /ირანი, თეირანის უნივერსიტეტის უცხო ენათა ცენტრის ქართული ენის მასწავლებელი/

ქართული ენის აღზევების ხანა ირანში

2012 წლის გაზაფხულზე, როცა საქართველო-ირანს შორის ეკონომიკურ-კულტურული ურთიერთობების ჩამოყალიბება დაიწყო, უამრავი ირანელი დაინტერესდა საქართველოში მოგზაურობით, რისთვისაც საჭირო გახდა ქართული ენის შესწავლა. ამ პრობლემის მოსაგვარებლად თეირანის უნივერსიტეტის უცხო ენათა ცენტრის დირექტორმა ბატონმა მაჰდი დაჰმარდამ ქართული ენის შემსწავლელი კურსების გახსნა გადაწყვიტა.

თეირანის უნივერსიტეტი ირანში ყველაზე სახელგანთქმული სასწავლებელია, სადაც მოქმედებს უცხო ენათა ცენტრი. აქ ისწავლება დაახლოებით 34 ენა მსოფლიოს მოქმედი და დაფიქსურებული ენებიდან, იგი სწავლების დონით აზიაში პირველ და მსოფლიოში მეოთხე ადგილს იკავებს. სწორედ, ამ სასწავლო დაწესებულებაში 2012 წლის ნოემბერში გაიხსნა ქართული ენის შემსწავლელი ოფიციალური კურსები.

თეირანის უნივერსიტეტში ქართული ენის კურსების გახსნასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში მონაწილეობდნენ საქართველოსა და სომხეთის ელჩები, ფერეიდნელი დეპუტატი, თეირანის უნივერსიტეტების პროფესორები და ენათმეცნიერები.

ქართული ენის კურსების გახსნისას უპირველესი პრობლემა მასწავლებელთა მოძიება გახდა, გადაწყვიტეს, რომ საქართველოდან მოეწვიათ კვალიფიცირებული პედაგოგები, მაგრამ შემდეგ გაითვალისწინეს ის ფაქტი, რომ ირანში, მრავალი ქართველი ცხოვრობს, კერძოდ კი ფერეიდუნშაჰრში, გადაწყდა, რომ წარმომადგენელი იმ უნივერსიტეტიდან გამოეგზავნათ ფერეიდანში ქართული ენის შესასწავლად.

ფერეიდანში მე ვმასპინძლობდი თეირანის უნივერსიტეტის წარმომადგენელს, ვაწვდიდი ინფორმაციას ქართული ენისა და ქართული ტრადიციების შესახებ. ამის შემდეგ დამნიშნეს ქართული ენის მასწავლებლად თეირანის უნივერსიტეტის ენათა ცენტრში, ეს ჩემი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა და ახდენილი ოცნებაა.

დღეს ირანის სატახტო ქალაქში დაახლოებით ათასი ქართველი ცხოვრობს. მათ შორის უამრავი ადამიანია დაინტერესებული, ისწავლოს თანამედროვე ქართული ენა და შეინარჩუნოს თავისი ეროვნულობა. თეირანის ქართველობა აქტიურად ჩაერთო ქართული ენის შემსწავლელ კურსებში და ვიმედოვნებთ, რომ ისინი წარმატებით დაეუფლებიან მშობლიურ ენას.

მოგვიანებით ირანელებიც დაინტერესდნენ ქართული ენის შესწავლით; ცხადია, რომ ქართველი უფრო ადვილად სწავლობს ქართულს, ვიდრე ირანელი. ცნობილია, რომ ქართული ენა კავკასიურ ენათა ოჯახს განეკუთვნება, სპარსული ენა კი - ინდო-ევროპულს. უმთავრესი განსხვავება ქართულსა და სპარსულ ანბანში ისაა, რომ ქართულის 8 ასონიშანი სპარსულ ანბანში არ გვაქვს, ეს ასოებია: ც, კ, პ, ტ, წ, ძ, ლ, ჭ.

სხვა პრობლემა, რაც ჩვენს კურსებს ეხებოდა, ისაა რომ ქართული ენის სრულყოფილი სახელმძღვანელოები სპარსელი სტუდენტებისთვის ირანში არ არსებობდა და ჩვენც ზუსტად არ ვიცოდით, რომელი წიგნით გვეხელმძღვანელა. ჩვენი დიდი სურვილი და აუცილებლობა არის ზრუნვა სათანადო ლიტერატურაზე; ჩვენ საქართველოს საელჩოს მივმართეთ თხოვნით, რომ დაგვხმარებოდნენ ქართული ენის სახელმძღვანელოების მოწოდებაში, ისინი დაგვპირდნენ, მაგრამ სამწუხაროდ, დანაპირები არ შეგვისრულეს. სამწუხაროა, ირანში საქართველოს საელჩოს უმოქმედო და უნიათო მოღვაწეობა, ირანში მცხოვრებ ქართველებს ხომ საელჩოს მხარდაჭერა და მორალური თანადგომა, განსაკუთრებულად გვესაჭიროება. მინდა მოგახსენოთ, რომ იაპონიის საელჩო ირანში რამოდენიმე წელია აფინანსებს იაპონური ენის შემსწავლელ კურსებს და ირანის სამეცნიერო ცენტრებსა და უნივერსიტეტებთან აქტიურად თანამშრომლობს. იაპონური ენის შესწავლის მიზნით ყოველწლიურად მოქმედებს სტუდენტთა გაცვლითი პროგრამა. იაპონიის საელჩო თეირანის უნივერსიტეტის ენის ცენტრთანაც თანამშრომლობს, აწვდის სამეცნიერო ლიტერატურასა და სახელმძღვანელოებს, სამწუხაროდ, საქართველოს საელჩო ერთი წიგნითაც არ დაგვხმარებია ქართული ენის შემსწავლელ ცენტრს. ჩვენ არამარტო საქართველოს საელჩოს, არამედ სხვა და სხვა უწყებებსაც მივმართეთ თხოვნით: მაგალითად,

დიასპორის სამინისტროს. ბოლო წერილი ყოფილმა ელჩმა ბატონმა გიორგი ჯანჯღავამ საქართველოს განათლების სამინისტროს გაუგზავნა და სთხოვა ჩვენთვის მოეწოდებინათ სახელმძღვანელო „თავთავი - წიგნი სამ ნაწილად, სამუშაო რვეულითა და მასწავლებლის დამხმარე წიგნით. ვფიქრობთ, ეს წიგნი ყველაზე საინტერესო და სრულყოფილი წიგნია, რაც ირანში დღემდე გვინახავს. ელჩის წერილის გაგზავნიდან დაახლოებით ცხრა თვე გავიდა, მაგრამ სამწუხაროდ, დღემდე არც ერთი წიგნი არ მიგვიღია.

საბედნიეროდ, საქართველო-ირანს შორის ურთიერთობები ყველა სფეროში სულ უფრო ძლიერდება, დადგა ის დღე, როდესაც ირანში ქართული ენის შესწავლის არანაირი წინააღმდეგობა და არავითარი საფრთხე არ უდგას. ირანში მცხოვრებ ქართველებს აქვთ უფლება, რომ ისწავლონ მშობლიური ენა და შეინარჩუნონ ადათ-წესები. მისასალმებელია, რომ ირანის მთავრობა ამ საკითხს დადებითად აფასებს, მაგრამ არსებობს შემდეგი სახის პრობლემები, რაზეც ქვემოთ მოგახსენებთ:

1. სრულყოფილი სახელმძღვანელო სპარსელი სტუდენტებისათვის. ჩვენ ჩვენი უნივერსიტეტის სახელით მზად ვართ ამ საკითხთან დაკავშირებით ქართველ ენათმეცნიერებთან და ქართული ენის პედაგოგებთან ვითანამშრომლოთ.

2. დღეს აუცილებელია, რომ ირანში მოღვაწე ქართული ენის მასწავლებლებმა ისწავლონ საქართველოს უნივერსიტეტებში, რა თქმა უნდა ჩვენ ფერეიდნელმა ქართველებმა თანამედროვე ქართული ენა წიგნებითა და საქართველოში მცხოვრებ ქართველებთან ურთიერთობისას შევისწავლეთ, არავითარი აკადემიური კურსები საქართველოში არ გავგივლია ენის შესწავლის თვალსაზრისით, რაც დღეს ძალიან საჭირო და დროულია. საქართველოს უნივერსიტეტები ამ თემით უნდა დაინტერესდნენ და აქტიურად ჩაერთონ ამ ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი საკითხის მოგვარებაში.

3. არ არსებობს საქართველოსა და ირანის უნივერსიტეტებს შორის ოფიციალური და სამეცნიერო ხელშეკრულებები. აღსანიშნავია, რომ თეირანის უნივერსიტეტის უცხო ენათა ცენტრს რამოდენიმე უცხო ქვეყნის უნივერსიტეტებთან ხელშეკრულება აქვს გაფორმებული და სტუდენტები სწავლის დასრულების შემდგომ სწავლას აგრძელებენ იმ ქვეყნის უმაღლეს სასწავლებელში, რომელ ენასაც ეუფლებიან

სამშობლოში. ვიმედოვნებთ, რომ საქართველოსა და ირანის უმაღლეს სასწავლებლებს შორის ხელშეკრულების საფუძველზე შეიქმნება სტუდენტთა გაცვლითი პროგრამა და კურსის დასრულებისას გაიცემა სერთიფიკატი.

4. ქართული ენის შემსწავლელი კურსები დღეს რამდენიმე ცენტრში იწყებს მოქმედებას, საქართველოს სამეცნიერო წრეებიდან და საელჩოდან არავითარი კონტროლი არ არსებობს, ჩემი აზრით, უმჯობესია, რომ შესაბამისი სამსახურები დაინტერესდნენ აღნიშნული პრობლემით, გამოცდილების გათვალისწინებით დახმარება გაეწიოთ სამეცნიერო, პედაგოგიური და მეთოდური ლიტერატურით, რაც ხელს შეუწყობს ენის ხარისხიან შესწავლას.

სიამაყით აღვნიშნავ, რომ ამ სასწავლებელში ქართული ენის სწავლების მსურველთა რაოდენობა გაცილებით მეტია დანარჩენ ენებთან შედარებით... ეს კი ჩვენ დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს.

დღეს მეტად აქტუალურია სერიოზულად დავფიქრდეთ ქართული ენის შემსწავლელი კურსების გაძლიერება-გაფართოებაზე მსოფლიოს მასშტაბით, რაზეც სერიოზული მუშაობა მართებთ სამეცნიერო წრეებსა და ქართველოლოგებს. საოცრად მდიდარია ქართული ლიტერატურა, მაგრამ სამწუხაროდ მსოფლიოში უამრავმა ადამიანმა არ იცის რა განძს ვფლობთ; არ იცნობენ ჩვენთვის ესოდენ საამაყო შოთა რუსთაველის “ვეფხისტყაოსანს”...

ვფიქრობ, პირველ რიგში უნდა გაძლიერდეს სასწავლო პროგრამა თურქეთში, აზერბაიჯანსა და ირანში. საუკუნეების მანძილზე ირანსა და საქართველოს შორის დაძაბული, ისტორიული მოვლენების მიუხედავად, დღეს ირანში ათასობით ქართველი ცხოვრობს და საუკუნეების შემდგომაც დღესაც ქართულად მეტყველებენ და ქართველობით ამაყობენ. თუ ქართული ენის სწავლება გაძლიერდება ირანში, ეს იქნება უდიდესი მხარდაჭერა და ზრუნვა მშობლიურ ფესვებს მოწყვეტილი ქართველობისთვის.

ამჟამად ირანში მცხოვრები ქართველები განსაკუთრებული გავლენით სარგებლობენ, მათ უკავიათ მაღალი თანამდებობები და აქტიურად მონაწილეობენ ქვეყნის მართვაში. ადრე ამ ღონისძიებების ჩატარება ირანში, ჩვენთვის შორეული ოცნება იყო.

თეირანის უნივერსიტეტში ქართული ენის შემსწავლელი კურსების წარმატებულად ჩატარებამ საფუძველი მოამზადა იმისთვის, რომ უახლოეს მომავალში ქართული ენის შემსწავლელი კურსები გაიხსნას სხვა უნივერსიტეტებშიც. უფრო მეტიც, ჩვენი უმთავრესი მიზანი ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის გახსნაა.

Amin Nagelian /Georgian language teacher of the language center, Tehran University/

The Era of the Rise of Georgian Language in Iran Summary

In spring 2012, when the formation of economical-cultural ties between Georgian and Iran started, a lot of Iranians expressed interest to travel in Georgia, which made it necessary to study Georgian. In order to solve this problem, the director of the foreign language center of the Tehran University – Mahdi Dahmard decided to open Georgian language course.

Tehran University is the most prominent university in Iran where there is a foreign language center. Approximately 34 existing and forgotten world languages are taught. According to the level of training, it occupies the first place in Asia and the fourth one in the world. In November 2012, the official courses of Georgian language training was launched in this very center.

The primary problem that appeared with the opening of the Georgian language training course was finding teachers. It was initially decided to invite qualified teachers from Georgia, but later, taking into consideration that there are numerous Georgians living in Iran, namely in Fereydunshahr, they decided to invite a representative of that university Fereydan to study Georgian.